


20.09.2020 წელი

ქ. თბილისი

ბუღალტრული აღრიცხვის, ანგარიშგების
და აუდიტის ზედამხედველობის სამსახურს

„ბუღალტრული აღრიცხვის, ანგარიშგების და აუდიტორული საქმიანობის შესახებ“ საქართველოს 2016 წ. 8 ივნისის N5386-III კანონის მოთხოვნების თანახმად ვებ გვერდზე “reportal.ge” გამოსაქვეყნებლად წარმოგიდგენთ 2020 წლის იდივიდუალურ ფინანსურ ანგარიშგებას.

შპს „ბეტა“ აღნიშნული კანონით დადგენილი პარამეტრების მიხედვით წარმოადგენს მესამე კატეგორიის საწარმოს და ამავე კანონის თანახმად აღნიშნულ ანგარიშგებას წარადგენს „მცირე და საშუალო საწარმოების ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტების (IFRS for SMEs)“ ნორმების გათვალისწინებით.

დირექტორი:  ----- ლევან შერმადინი

შპს „ბეტა“

(ს/კ: 232002588)

ინდივიდუალური ფინანსური ანგარიშგება

2020 წლის 31 დეკემბრით დასრულებული საანგარიშგებო წლისთვის

შინაარსი:

ფინანსური მდგომარეობა 31.12.2020

საქმიანობის შედეგები 31.12.2020

განმარტებითი შენიშვნები

ხელმძღვანელობის პასუხისმგებლობა წარმოდგენილი ინდივიდუალური ფინანსური ანგარიშგების მომზადებასა და დამტკიცებაზე.

ფინანსური ანგარიშგების მომზადებისას ხელმძღვანელობა პასუხისმგებელია:

მართებული ბუღალტრული პრინციპების არჩევასა და მათ თანმიმდევრულ შესრულებაზე;

- ინფორმაციის წარდგენაზე, ბუღალტრული პოლიტიკის ჩათვლით, რომელიც უზრუნველყოფს მართებულ, საიმედო, შესადარის და გასაგებ ინფორმაციას.

- დამატებითი ინფორმაციის წარდგენის უზრუნველყოფაზე, იმ შემთხვევაში, თუ მცირე და საშუალო საწარმოთა ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტების სპეციფიური მოთხოვნები არ არის საკმარისი იმისათვის, რომ მომხმარებელმა გააანალიზოს კონკრეტული გარიგების, სხვა მოვლენებისა და პირობების გავლენა კომპანიის ფინანსურ მდგომარეობასა და შედეგებზე.

- საწარმოს მიერ ფუნქციონირებადი საწარმოს დაშვების პრინციპის საფუძველზე კომპანიის მუშაობის უნარის შეფასებაზე.

ხელმძღვანელობა აგრეთვე პასუხისმგებელია

კომპანიაში ეფექტური და მყარი შიდა კონტროლის სისტემის შემუშავებაზე, დანერგვასა და შენარჩუნებაზე;

- ისეთი ბუღალტრული ჩანაწერების წარმოებაზე, რომელიც წარმოადგენს და ხსნის კომპანიის გარიგებებს და ნებისმიერ დროს უზრუნველყოფს კომპანიის ფინანსური მდგომარეობის საკმარისი სიზუსტით წარდგენას და მის ფასის-ის მოთხოვნებთან ფინანსური ანგარიშგების შესაბამისობას;

- სავალდებულო ბუღალტრული ჩანაწერების წარმოებაზე საქართველოს კანონმდებლობისა და ბუღალტრული სტანდარტების შესაბამისად;

- კომპანიის აქტივების უსაფრთხოების უზრუნველსაყოფად საჭირო ქმედებების განხორციელებაზე; და

- თაღლითობისა და სხვა დარღვევების თავიდან აცილებასა და აღმოჩენაზე.

დირექტორი :  ლევან შერმადინი

განმარტებითი შენიშვნები

ზოგადი ინფორმაცია : კომპანია „ბეტა“ არის შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოება,

დარეგისტრირდა 2004 წლის 03 სექტემბერს, საქართველოში.

მარეგისტრირებელი ორგანო: თერჯოლის სასამართლო

საიდენტიფიკაციო კოდი: 232002588;

კომპანიის იურიდიული მისამართი და საქმიანობის ძირითადი ადგილი არის: საქართველო, ქ. თბილისი, ანა პოლიტკოვსკაიას ქ. #32ა;

შპს „ბეტა“ შედგება „კომპანიისგან“.

საქმიანობის ძირითადი სფერო : ავტოსატრანსპორტო გადაზიდვებით მომსახურება (NACE კოდი 49410).

ანგარიშების პერიოდი: ფინანსური ანგარიშგების საანგარიშო პერიოდია 2020 კალენდარული წელი, 1 იანვრიდან 31 დეკემბრის ჩათვლით.

ანგარიშგების ვალუტა. ფინანსური ანგარიშგება მომზადებული არის ეროვნულ ვალუტაში, ლარი.

„კომპანიის“ სამუშაო გარემო: საქართველოში საგადასახადო, სავალუტო და საბაჟო კანონმდებლობის ლიბერალიზაციით გამოწვეული ცვლილებები ხელს უწყობს საქართველოში მომუშავე კომპანიებს წარმატებულ საქმიანობაში.

უნდა ავღნიშნოთ, რომ 2016 წლის 13 მაისს საგადასახადო კანონმდებლობაში შესულმა ცვლილებამ, მოგების გადასახადის რეფორმის შესახებ (რომელიც ცნობილია მოგების გადასახადის „ესტონური მოდელის“ სახელით და ძალაშია 2017 წლის 01 იანვრიდან), რომლის მთავარ „მოგების გადასახადით დაბეგვრის ობიექტს“ წარმოადგენს განაწილებული მოგება და არა მიმდინარე პერიოდის მოგება, საშუალება მისცა კომპანიებს მოგების გადასახადის თანხა გამოიყენონ ბიზნესის განვითარებისათვის.

ფინანსური ანგარიშგების მომზადების საუბველი და სააღრიცხვო პოლიტიკა

წინამდებარე ინდივიდუალური ფინანსური ანგარიშგება მომზადებულია საერთაშორისო ბუღალტრული სტანდარტების საბჭოს მიერ შემუშავებული მცირე და საშუალო საწარმოთა ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტის შესაბამისად (შემდგომში “მსს ფასს”), რაც ასახავს კომპანიის სააღრიცხვო პოლიტიკას მსს ფასს საფუძველზე.

ფინანსური ანგარიშება მოიცავს :

1. ფინანსური მდგომარეობის შესახებ ანგარიშს (ბალანსი);
2. ფინანსური შედეგების შესახებ ანგარიშს (მოგება-ზარალი);
3. ახსნა-განმარტებით შენიშვნებს.

ფინანსური ანგარიშების მომზადებისას გამოყენებული სააღრიცხვო პოლიტიკა შემუშავებულია შემდეგი ნორმატიული აქტების საფუძველზე:

საქართველოს კანონი მეწარმეთა შესახებ, საქართველოს კანონი ბუღალტრული აღრიცხვისა და ანგარიშებისა და აუდიტის შესახებ, ბუღალტრული აღრიცხვის საერთაშორისო სტანდარტები.

საწარმო იყენებს ბუღალტრული აღრიცხვის საერთაშორისო სტანდარტებითა და ბუღალტრული აღრიცხვის „ანგარიშებისა და აუდიტის შესახებ საქართველოს კანონის შესაბამისად მოქმედ ანგარიშთა გეგმას. ძირითად საბალანსო ანგარიშებს შესაძლებელია დაემატოს საჭიროებისამებრ ქვეანგარიშები. ბუღალტრული აღრიცხვა ხორციელდება ელექტრონული ფორმით.

ფინანსური ანგარიშების მომზადების საფუძველი:

(ა) წარდგენის საფუძველები

წარმოდგენილი ფინანსური ანგარიშება წარედგინება საქართველოს ფინანსთა სამინისტროს, ბუღალტრული აღრიცხვისა და აუდიტის ზედამხედველობის სამსახურს, 2016 წლის 8 ივნისის „ბუღალტრული აღრიცხვის, ანგარიშებისა და აუდიტის შესახებ“ საქართველოს კანონის თანახმად.

(ბ) აღრიცხვის საფუძველი

ფინანსური ანგარიშება მომზადებულია მცირე და საშუალო საწარმოთა ფინანსური აღრიცხვის საერთაშორისო სტანდარტების (მსს ფასს) შესაბამისად, რომლებიც მოქმედია 2020 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით. გამოქვეყნებულია „ანგარიშების ვებგვერდზე მომხმარებელთა რეგისტრაციის, სუბიექტების მიერ ანგარიშების წარდგენის და წარდგენილი ინფორმაციის გასაჯაროების წესის დამტკიცების თაობაზე“ ბუღალტრული აღრიცხვისა და აუდიტის ზედამხედველობის სამსახურის უფროსის 2019 წლის 21 მაისის N6-6 ბრძანების ნორმების შესაბამისად.

კომპანიის საანგარიშგებო პერიოდი მოიცავს კალენდარულ წელს 1 იანვრიდან 31 დეკემბრის ჩათვლით.

(გ) საქმიანობის უწყვეტობა („ფუნქციონირებადი საწარმო“)

წინამდებარე ფინანსური ანგარიშება მომზადდა ფუნქციონირებადი საწარმოს პრინციპზე დაყრდნობით, რაც გულისხმობს აქტივების რეალიზაციას და ვალდებულებების დაფარვას ჩვეულებრივი საქმიანობის პირობებში.

აღნიშნული პრინციპი წარმოადგენს არა მხოლოდ საწარმოს განზრახვას, გააგრძელოს ფუნქციონირება, როგორც ფუნქციონირებადმა საწარმომ, არამედ მისი უწყვეტი საწარმოო ფუნქციონირების უნარსაც.

მნიშვნელოვანი სააღრიცხვო პოლიტიკის მიმოხილვა

ქვემოთ მოცემულია „კომპანიის“ მიერ ფინანსური ანგარიშგების მომზადებისას გამოყენებული სააღრიცხვო პოლიტიკის ძირითადი პრინციპები, რომლებიც თანმიმდევრულად ვრცელდება ყველა წარმოდგენილ პერიოდზე.

აქტივებისა და ვალდებულებების კლასიფიკაცია მოკლევადიანად და გრძელვადიანად

კომპანია აქტივებსა და ვალდებულებებს ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებაში წარმოადგენს მათი მოკლე და გრძელვადიანად კლასიფიკაციის საფუძველზე.

აქტივი მოკლევადიანია, როდესაც:

- ნავარაუდევია აქტივის გაყიდვა, ან აქტივი გამიზნულია გასაყიდად ან მოხმარებისთვის ჩვეულებრივი საოპერაციო ციკლის განმავლობაში;
- აქტივი ძირითადად გამოიყენება სავაჭრო დანიშნულებით;
- ნავარაუდევია მისი გაყიდვა საანგარიშგებო პერიოდის შემდეგ თორმეტი თვის განმავლობაში;
- აქტივი არის ფულადი სახსრები ან ფულადი სახსრების ეკვივალენტი, იმ შემთხვევის გარდა, როდესაც მისი გაცვლა ან ვალდებულების დასაფარად გამოყენება შეზღუდულია საანგარიშგებო პერიოდის შემდეგ სულ მცირე თორმეტი თვით მაინც.

ყველა სხვა აქტივი უნდა მიეკუთვნოს გრძელვადიან აქტივებს.

ვალდებულება მოკლევადიანია, თუ:

- მოსალოდნელია მისი დაფარვა ჩვეულებრივი საოპერაციო ციკლის განმავლობაში;
- ძირითადად, გამოიყენება სავაჭრო დანიშნულებით;
- დასაფარია ანგარიშგების პერიოდიდან თორმეტი თვის განმავლობაში, ან ანგარიშგების პერიოდის შემდეგ ვალდებულების დაფარვის მინიმუმ თორმეტი თვით გადავადების უპირობო უფლება არ გააჩნია.

ყველა სხვა სახის ვალდებულებას კომპანია გრძელვადიან ვალდებულებად მიიჩნევს.

ოპერაციები უცხოურ ვალუტაში

ა) შეფასების და წარდგენის ვალუტა

წინამდებარე ფინანსურ ანგარიშგებაში ასახული მუხლები წარმოდგენილია იმ ქვეყნის ვალუტაში (საქართველო, ლარი), სადაც კომპანია ფუნქციონირებს (საოპერაციო ვალუტა). ამგვარად, მოცემული ფინანსური ანგარიშგება წარმოდგენილია ქართულ ლარში, რომელიც „კომპანიის“ სამუშაო და წარსადგენი ვალუტაა.

ბ) უცხოური ვალუტის კონვერტირება

უცხოურ ვალუტაში ასახული ფულადი მუხლები გადაიანგარიშება საქართველოს ეროვნული ბანკის მიერ დადგენილი ვალუტის გაცვლის ოფიციალური კურსის შესაბამისად, წლის ბოლოსათვის. კონვერტაციის დროს წარმოშობილი

კურსთაშორის სხვაობები აისახება მოგებისა და ზარალის ანგარიშებზე. უცხოურ ვალუტაში გამოხატული შედეგები აღირიცხება ოპერაციის განხორციელების დღეს არსებული გაცვლის კურსის შესაბამისად.

ძირითადი საშუალებები

ძირითადი საშუალებების აღსარიცხად დგინდება მათი სასარგებლო გამოყენების ვადა. ძირითადი საშუალებების სასარგებლო გამოყენების ვადების გაანგარიშება შეფასების საქმეა და ეფუძნება მსგავს აქტივებთან დაკავშირებით არსებულ გამოცდილებას. ამ აქტივებში ჩადებული სამომავლო ეკონომიკური სარგებლის შთანთქმა ძირითადად მოხმარების მეშვეობით ხდება. ამასთან, სხვა ისეთი ფაქტორებიც, როგორიცაა ტექნიკური ან კომერციული მოძველება და ცვეთა ხშირად იწვევს ამ აქტივებში ჩადებული სამომავლო ეკონომიკური სარგებლის მნიშვნელოვნად შემცირებას. მენეჯმენტი დარჩენილი სასარგებლო გამოყენების ვადების გაანგარიშებას ახორციელებს აქტივების მიმდინარე ტექნიკური მდგომარეობისა და იმ საანგარიშო პერიოდის გათვალისწინებით, რომლის განმავლობაშიც მოსალოდნელია კომპანიის მიერ ამ აქტივებიდან სარგებლის მიღება. მხედველობაში მიიღება შემდეგი ძირითადი ფაქტორები: (ა) აქტივების მოსალოდნელი გამოყენება; (ბ) მოსალოდნელი ფიზიკური ცვეთა, რაც დამოკიდებულია საოპერაციო ფაქტორებზე და ტექნოლოგიური განვითარების გეგმაზე; და (გ) საბაზრო პირობებში მომხდარი ცვლილებებით გამოწვეული ტექნიკური და კომერციული მოძველება.

ძირითადი საშუალების თავდაპირველი აღიარება ხდება თვითღირებულებით. თვითღირებულების კომპონენტი მოიცავს ნასყიდობის ფასსა და უშუალოდ დაკავშირებულ დანახარჯებს, რომელიც აუცილებელია აქტივის სამუშაო მდგომარეობაში მოსაყვანად.

ძირითადი საშუალებები თავდაპირველი აღიარების შემდეგ, აღირიცხება მისი თვითღირებულებიდან დაგროვილი ცვეთის გამოკლების შედეგად მიღებული თანხით.

შემდგომი დანახარჯები ჩაირთვება აქტივის საბალანსო ღირებულებაში, ან აღიარდება, როგორც დამოუკიდებელი აქტივი, მხოლოდ მაშინ, როდესაც შესაძლებელია აღნიშნული ტიპის დანახარჯისგან მომავალი ეკონომიკური სარგებლის მიღება და შესაძლებელია მისი ღირებულების საიმედოდ განსაზღვრა და შეფასება. ყველა სახის სხვა დანახარჯი, რომელიც დაკავშირებულია მიმდინარე ტიპის რემონტებთან, აღიარდება როგორც ხარჯი მისი გაწევის პერიოდში, მოგება-ზარალში ასახვით.

ძირითად საშუალებებზე ცვეთის დარიცხვა იწყება მაშინ, როდესაც შესაძლებელია მისი გამოყენება, ანუ, როდესაც აქტივი იმყოფება იმ ადგილას და მოყვანილია ისეთ სამუშაო მდგომარეობაში, რომ შესაძლებელია აქტივის ექსპლუატაცია ხელმძღვანელობის მიერ დასახული მიზნების შესაბამისად.

ძირითადი საშუალებების სასარგებლო მომსახურების ვადის განმავლობაში მათი ცვეთადი ღირებულების სისტემატურ საფუძველზე გასანაწილებლად შეიძლება გამოყენებულ იქნეს სხვადასხვა მეთოდი. ცვეთის დასაშვები მეთოდებია: წრფივი მეთოდი, კლებადი ნაშთის მეთოდი და მეთოდი, რომელიც ეყრდნობა აქტივის მოსალოდნელ გამოყენებას, როგორიცაა წარმოებულ ერთეულთა მეთოდი. მათგან კომპანია იყენებს ცვეთის დარიცხვის კლებადი ნაშთის მეთოდს.

ცვეთის გამოთვლა წარმოებს იმგვარად, რომ განხორციელდეს აქტივის თვითღირებულებასა და ნარჩენ ღირებულებას შორის სხვაობის ჩამოწერა, მისი სასარგებლო მომსახურების ვადის განმავლობაში. ძირითად საშუალებებზე ცვეთის დასარიცხად გამოიყენება შემდეგი წლიური განაკვეთები:

ავტოსატრანსპორტო საშუალებებზე - 20 %

კომპიუტერულ და სხვა ტექნიკაზე - 20 %

ავეჯზე - 20%

ძირითადი საშუალებების აღიარება წყდება მისი გაყიდვის/გასვლის შემთხვევაში, ან როდესაც მისი გამოყენებიდან ან გაყიდვიდან არანაირი ეკონომიკური სარგებლის მიღება აღარ არის მოსალოდნელი.

საწარმოს მიერ ძირითადი საშუალების აღიარების შეწყვეტის შედეგად წარმოქმნილი შემოსულობა ან ზარალი აისახება იმ პერიოდის მოგებაში ან ზარალში, როდესაც მისი აღიარება წყდება. საწარმოში ასეთი სახის შემოსულობას არ ენიჭება ამონაგების კლასიფიკაცია.

ძირითადი საშუალებების ღირებულება (ნარჩენი) 01.01.2020 წლის მდგომარეობით - 253538.00ლ.
შემენა - 544185.00

გასვლა - 530.00

დარიცხული ცვეთა - 59155.00 ლარი,

შესაბამისად საანგარიშო პერიოდის ბოლოს 31.12.2020 წლის მდგომარეობით ძირითადი საშუალებების ნარჩენმა ღირებულებამ შეადგენა- 738038.00 ლარი.

არამატერიალური აქტივები

შეზღუდული სასაგებლო მომსახურების ვადის არ მქონე არამატერიალური აქტივებისათვის ამორტიზაციის დარიცხვა ხდება მოგება-ზარალის ანგარიშგებაში კლებადი ნაშთის მეთოდით,

-კომპანიას გააჩნია არამატერიალური აქტივი, რაც წარმოადგენს კომპიუტერულ პროგრამულ უზრუნველყოფას,

რომელის ღირებულება საანგარიშო პერიოდში არ შეცვლილა, კერძოდ:

არამატერიალური აქტივების ღირებულება (ნარჩენი) 01.01.2020 წ. -141.00 ლარი

შემენა - 0.00 ლარი, გასვლა-0 ლარი, დარიცხული ცვეთა -0. 00 ლარი

არამატერიალური აქტივების ღირებულება (ნარჩენი) 31.12.2020 წ. -141.00 ლარი

სასაქონლო-მატერიალური მარაგები

წინამდებარე ფინანსური ანგარიშგებაში სასაქონლო-მატერიალური მარაგების შეფასება ხდება თვითღირებულებასა და შეფასებით გასაყიდ ფასს (მინუს პროდუქციის დასრულებისა და გაყიდვისთვის საჭირო დანახარჯები) შორის უმცირესი თანხით.

სასაქონლო-მატერიალური ფასეულობების თვითღირებულება მოიცავს შეძენის დანახარჯებს, გადამუშავების (კონვერსიის) დანახარჯებს და სხვა დანახარჯებს, რომლებიც გაწეულია მის მოცემულ ადგილამდე ტრანსპორტირებისთვის და სათანადო მდგომარეობაში მოსაყვანად.

შეძენის დანახარჯები:

მარაგის შეძენის დანახარჯები მოიცავს: მის შეძენის (ნასყიდობის) ფასს, საიმპორტო საბაჟო გადასახადს და სხვა გადასახადებს (იმ გადასახადების გარდა, რომლებიც საგადასახადო ორგანოებმა საწარმოს უნდა დაუბრუნონ შემდგომში), სატრანსპორტო, დატვირთვა-გადმოტვირთვის დანახარჯებსა და სხვა დანახარჯებს, რომლებიც უშუალოდ არის დაკავშირებული მზა პროდუქციის, ნედლეულის, მასალებისა და მომსახურების შეძენასთან. სავაჭრო დათმობა, სხვადასხვა სახის ფასდათმობები და სხვა ანალოგიური მუხლები არ ჩაირთვება შეძენის დანახარჯების გაანგარიშებაში.

კომპანია მარაგის თვითღირებულების განსაზღვრისათვის იყენებს საშუალო შეწონილი ღირებულების ფორმულას.

სასაქონლო-მატერიალური ფასეულობების აღიარება წყდება მაშინ, როდესაც ისინი გაიყიდება/გაიხარჯება და რისკი და კონტროლი გადადის მყიდველზე. გაყიდვის შემდეგ სასაქონლო-მატერიალური ფასეულობები მოგებისა და ზარალის ანგარიშგებაში აღიარდება, როგორც დანახარჯი იმავე პერიოდში, როდესაც აღიარდება მათი რეალიზაციის შედეგად მიღებული შემოსავალი და მაშინ, როდესაც მარაგი გაუფასურებულია.

სავაჭრო და სხვა დებიტორული დავალიანება

სავაჭრო და სხვა დებიტორული დავალიანებები არის ბიზნესის ძირითადი საქმიანობის შედეგად მომხმარებლისგან მისაღები თანხები. ზოგადად, როცა მათი დაფარვის ვადა შედგენს არაუმეტეს 30 დღეს, შესაბამისად კლასიფიცირდებიან მოკლევადიან აქტივებად. სავაჭრო და სხვა დებიტორული დავალიანებები თავდაპირველად აღიარდება გარიგების ფასის ოდენობით, რომელიც უპირობოა, გარდა იმ შემთხვევებისა, როდესაც ისინი მოიცავს მნიშვნელოვან ფინანსურ კომპონენტებს, როდესაც მათი აღიარება ხდება სამართლიანი ღირებულებით. კომპანია ფლობს სავაჭრო და სხვა დებიტორულ დავალიანებებს იმ მიზნით, რომ მომავალში მიიღოს კონტრაქტით გათვალისწინებული ფულადი ნაკადები.

კომპანიის ყავს როგორც რეზიდენტი, ასევე არარეზიდენტი მომწოდებელი. მოთხოვნები მათ მიმართ აისახება გამიჯნულად. არარეზიდენტ მომწოდებლებთან ანგარიშსწორება აღირიცხება უცხოურ ვალუტაში (ევრო). მოწოდება-ანაზღაურების დღის კურსით. ამასთან, საანგარიშო წლის ბოლოს ხდება კრედიტორული დავალიანების გადაფასება ეროვნული ბანკის მიერ დადგენილი კურსის მიხედვით.

მოთხოვნებს და დებიტორულ დავალიანებებს მონაცემთა ბაზის მიხედვით გააჩნია შემდეგი ტრუქტურა: დებიტორების აღრიცხვის ჟურნალში აღირიცხება ანალიზური აღრიცხვის მიზნებისათვის დებიტორი ორგანიზაციების დასახელებები, დებიტორული დავალიანების წარმოშობის წლები.

საანგარიშო პერიოდის ბოლოსთვის (31.12.2020წ) სავაჭრო დავალიანებების ოდენობაა 563602.00,

სავაჭრო მოთხოვნები მიმდინარე და შეესაბამება რეალურ ღირებულებას.

მოთხოვნების გაუფასურება

კომპანია რეგულარულად ამოწმებს თავის დებიტორულ დავალიანებებს გაუფასურების შეფასების მიზნით. ნებისმიერი გაუფასურების ზარალის გამოსათვლელად იგი იყენებს შეფასების საკუთარ მეთოდს, სარეალიზაციო ფასის დაფიქსირება ხდება ევროვალუტის ეროვნული ბანკის მიერ დადგენილი კურსით და ანაზღაურება შესაბამისად ხდება გადახდის დღეს არსებული ეროვნული ბანკის მიერ დადგენილი კურსით. ამის შედეგად გამოწვეული სხვაობა აისახება კომპანიის მოგება/ზარალში. გამომდინარე ასეთი მიწოდება/ანაზღაურების პირობებიდან საანგარიშო წლის ბოლოს ხორციელდება დებიტორული დავალიანების გადაფასება და სხვაობა აისახება კომპანიის მოგება/ზარალში. კომპანიას არ აქვს უიმედო დებიტორული დავალიანების რეზერვი.

გადახდილი ავანსები

გადახდილი ავანსები აღირიცხება თვითღირებულებით, საიდანაც გამოქვითულია გაუფასურების რეზერვი. გადახდილი ავანსი არამიმდინარედ აისახება, როცა გადახდილ ავანსთან დაკავშირებული საქონლის ან მომსახურების მიღება არ არის მოსალოდნელი ერთი წლის ვადაში ან როცა გადახდილი ავანსი დაკავშირებულია იმ აქტივთან, რომელიც თავდაპირველი აღიარებისას არამიმდინარედ იქნება კლასიფიცირებული. აქტივების შესაძენად გადახდილი ავანსები აქტივის საბალანსო ღირებულებაში გადადის, როგორც კი კომპანია ამ აქტივზე ამყარებს კონტროლს და არსებობს იმის ალბათობა, რომ კომპანია მიიღებს ამ აქტივთან დაკავშირებულ მომავალ ეკონომიკურ სარგებელს. სხვა გადახდილი ავანსები მოგება-ზარალში ჩამოიწერება გადახდილ ავანსთან დაკავშირებული საქონლის ან მომსახურების მიღებისას. თუ არსებობს იმის ნიშნები, რომ გადახდილ ავანსთან დაკავშირებული საქონლის ან მომსახურების მიღება შეუძლებელია არ მოხდეს, გადახდილი ავანსის საბალანსო ღირებულება შესაბამისად ჩამოიწერება და შესაბამისი გაუფასურების ზარალი აისახება წლის მოგება-ზარალში.

საანგარიშო პერიოდის ბოლოსთვის (31.12.2020წ) კომპანიის მიერ მიმწოდებლებზე გადახდილმა ავანსებმა შეადგინა 2469.00 ლ. ხოლო სამივლინებო ავანსად გაცემულია 52045.00ლ.

ფულადი სახსრები და მათი ეკვივალენტები

ფულადი სახსრები და მათი ეკვივალენტები ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებაში მოიცავს ეროვნულ და უცხოურ ვალუტას რეზიდენტ ბანკებსა და კომპანიის სალაროში.

საანგარიშო პერიოდის ბოლოსთვის (31.12.2020წ) კომპანიის ფულადმა სახსრებმა რეზიდენტი საბანკო დაწესებულებებსა და სალაროში შეადინა 351698.00ლ.

დამატებითი ღირებულების გადასახადი.

დამატებითი ღირებულების გადასახადი. გაყიდულ პროდუქციაზე თუ მომსახურებაზე დარიცხული დამატებითი ღირებულების გადასახადი საგადასახადო ორგანოებისთვის გადახდას ექვემდებარება პროდუქციისა თუ მომსახურების კლიენტებისთვის მიწოდებისთანავე. შეძენილ პროდუქციაზე თუ მომსახურებაზე დარიცხული დღგ-ის დაბრუნება ჩვეულებრივ შესაძლებელია გაყიდულ პროდუქციაზე თუ მომსახურებაზე დარიცხული დღგ-ის ხარჯზე დღგ-ის ანგარიშგაქტურის მიღებისთანავე. საგადასახადო ორგანოები უშვებენ დღგ-ის ნეტო ანგარიშსწორებას. გაყიდვასთან და შესყიდვასთან დაკავშირებული დღგ ფინანსური მდგომარეობის ანგარიშში აისახება ნეტო მეთოდით. თუ დებიტორული დავალიანებების გაუფასურების რეზერვი შექმნილია, გაუფასურების ზარალი აღირიცხება მოვალის მთლიანი (ბრუტო) თანხის გათვალისწინებით, დღგ-ის ჩათვლით. კომპანიის შემოსავლის უდიდესი ნაწილი მოდის საერთაშორისო გადაზიდვებზე, რაც, საქართველოს საგადასახადო კოდექსის მიხედვით, იბეგრება დამატებული ღირებულების გადასახადის ნულოვნი განაკვეთით. რის გამოც კომპანიას ხშირად აქვს საგადასახადო აქტივი, რაც, საშუალებას აძლევს დაზოგოს სახსრები კომპანიის განვითარებისთვის.

საანგარიშო პერიოდის ბოლოსთვის (31.12.2020წ) კომპანიას აქვს საგადასახადო აქტივი დღგ-ს სახით 6378.00 ლ.

სესხები და კრედიტები

ნასესხებ სახსრებთან დაკავშირებული დანახარჯები არის საპროცენტო და სხვა დანახარჯები, რომლებსაც საწარმო ეწევა ნასესხები სახსრების მიღებასთან დაკავშირებით. ნასესხებ სახსრებთან დაკავშირებული დანახარჯებია: ეფექტური საპროცენტო განაკვეთის მეთოდით გაანგარიშებული საპროცენტო ხარჯი, და უცხოურ ვალუტაში აღებულ სესხებთან დაკავშირებით წარმოქმნილი საკურსო სხვაობების ის ნაწილი, რომელიც მიიჩნევა საპროცენტო დანახარჯების კორექტირებად.

საწარმომ ნასესხებ სახსრებთან დაკავშირებული ყველანაირი დანახარჯი, თავდაპირველი აღიარების შემდეგ, უნდა აღიაროს როგორც ხარჯი იმ პერიოდის მოგებაში ან ზარალში, როდესაც ეს დანახარჯები იყო გაწეული.

საანგარიშო (2020წ.) პერიოდში კომპანიამ დამატებით აიღო სესხი, რეზიდენტი ბანკებისგან, 133048.00 ლარის ოდენობით, შედეგად, დაუფარავმა სასესხო ვალებულებამ საანგარიშო პერიოდის ბოლოსთვის (31.12.2020წ) გასტუმრებული სესხების გამოკლებით, შეადგინა 682050.00 ლარი.

ვალდებულების აღიარების შეწყვეტა

ფინანსური ვალდებულების აღიარება წყდება სახელშეკრულებო ვალდებულებების შესრულების, გაუქმების, ან ამოწურვის შემთხვევაში. როდესაც არსებული ფინანსური ვალდებულება ჩანაცვლება სხვა ვალდებულებით იმავე კრედიტორის წინაშე, არსებითად განსხვავებული პირობებით, ან არსებული ვალდებულების პირობების მნიშვნელოვანი ცვლილების შემთხვევაში. ასეთი ჩანაცვლება, ან ცვლილება მიჩნეულ უნდა იქნეს საწყისი ვალდებულების აღიარების შეწყვეტად და ახალი ვალდებულების აღიარებად, ხოლო სხვაობა შესაბამის საბალანსო ღირებულებებს შორის აისახება მოგებაში ან ზარალში.

სავაჭრო და სხვა კრედიტორული დავალიანება

სავაჭრო კრედიტორული დავალიანების დარიცხვა ხდება მაშინ, როდესაც კონტრაგენტი ასრულებს თავის მოვალეობებს ხელშეკრულების ფარგლებში, იგი თავდაპირველად საწყისი ღირებულებით აღიარდება, კომპანიის ყავს როგორც რეზიდენტი, ასევე არარეზიდენტი მომწოდებელი. ვალდებულებები მათ მიმართ, ასევე, აისახება გამიჯნულად.

არარეზიდენტ მომწოდებლებთან ანგარიშსწორება აღირიცხება უცხოურ ვალუტაში (ევრო). მოწოდება-ანაზღაურების დღის კურსით. ამასთან, საანგარიშო წლის ბოლოს ხდება კრედიტორული დავალიანების გადაფასება ეროვნული ბანკის მიერ დადგენილი კურსის მიხედვით.

საანგარიშო პერიოდის ბოლოსთვის (31.12.2020წ) კომპანიის სავაჭრო ვალდებულებამ შეადგინა 87616.00ლ. დარიცხულმა ვალდებულებებმა - 32426.00ლ.

სავაჭრო ვალდებულებები მიმდინარეა და შესაბამეა რეალურ ღირებულებას

კომპანიის კაპიტალის აღრიცხვა

საწესდებო კაპიტალი

კომპანიის საწესდებო კაპიტალი განსაზღვრულია წესდებით და შეადგენს 2000.00 ლარს.

2020 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით კომპანიის მფლობელები არიან:

1. გელა ტალახაძე პ/ნ 01024002948 - 50 %
2. მერაბ ჭილაძე პ/ნ 38001001128 - 50 %

გადაფასების რეზერვი-0

სხვა რეზერვი და დაფინანსება-0

დივიდენდების განაწილება

საზოგადოების დივიდენდების განაწილების პრინციპი განისაზღვრება წლიური ბალანსის საფუძველზე საზოგადოების სამუშაო კაპიტალის, კაპიტალური დანახარჯების, დავალიანებისა და სხვა ფინანსური მოთხოვნების გათვალისწინებით. დანარჩენ მოგებას, კომპანია ანაწილებს პარტნიორებს.

დივიდენდები აღიარდება ვალდებულებად და აკლდება კაპიტალს მათი გამოცხადების და დამტკიცების პერიოდში. საანგარიშგებო პერიოდის დასრულების შემდეგ და ფინანსური ანგარიშგების გამოცემის დამტკიცებამდე გამოცხადებული დივიდენდები აისახება შემდგომი მოვლენების შესახებ განმარტებით შენიშვნაში.

საანგარიშო პერიოდში (01.01.2020-31.12.2020) კომპანიამ ზარალით დაამთავრა, შესაბამისად შემცირდა წინა წლების ანუ პერიოდის დასაწყისათვის არსებული გაუნაწილებელი მოგება.

საანგარიშო პერიოდის დასასრულისათვის - გაუნაწილებელი მოგება შეადგენს 859668.00 ლარს.

კომპანიას საანგარიშო პერიოდში დივიდენდების განაწილება არ მოუხდენია.

შემოსავლის და ხარჯის აღიარება

შემოსავლების და ხარჯის აღიარებისთვის კომპანია იყენებს დარიცხვის პრინციპს.

შემოსავლის აღიარება

შემოსავლების ასახვა ხორციელდება იმ შემთხვევაში, როდესაც კომპანიაში ეკონომიკური სარგებლის შემოდინების ალბათობა მაღალია. ამასთან, შესაძლებელია შემოსავლების სანდო შეფასება მიუხედავად იმისა, თუ როდის განხორციელდება გადახდა. შემოსავლების შეფასება ხდება მიღებული, ან მისაღები ანაზღაურების სამართლიანი ღირებულებით, გადახდის ხელშეკრულებით განსაზღვრული ვადების გათვალისწინებით და გადასახადებისა და მოსაკრებლების გამოკლებით. კომპანიამ დაასკვნა, რომ შემოსავლებთან დაკავშირებულ ყველა გარიგებაში გამოდის პრინციპალის სახით, რადგან იგი ძირითადი მოვალეა ყველა ასეთ გარიგებაში, აქვს ფასდადების მხრივ თავისუფლება და ატარებს სასაქონლო-მატერიალური მარაგების გაუფასურებისა და საკრედიტო რისკებს.

შემოსავლის აღიარება ხორციელდება დამატებითი ღირებულების გადასახადის გარეშე.

კომპანიის შემოსავლის წყაროა ავტოსატრანსპორტო გადაზიდვებით მომსახურება..

საანგარიშო პერიოდში (01.01.2020-31.12.2020) კომპანიას შემოსავალი ჰქონდა ძირითადი საქმიანობიდან, ავტოსატრანსპორტო გადაზიდვებიდან, 1729524.00 ლარი.

ხარჯის აღიარება

ხარჯების აღიარება აქტივებისა და ვალდებულების აღიარებისა და შეფასების პროცესის პირდაპირი შედეგია.

მოგება-ზარალის ანგარიშგებაში ხარჯები აღიარდება, თუ ის იწვევს მომავალი ეკონომიკური სარგებლის შემცირებას, რომელიც დაკავშირებულია აქტივების შემცირებასთან, ან ვალდებულების ზრდასთან და შესაძლებელია მისი საიმედოდ შეფასება. ხარჯების აღიარება ხდება უშუალოდ მის გაწევასთან დაკავშირებული შემოსავლების შეპირისპირების საფუძველზე.

ხარჯები სრული შემოსავლის ანგარიშგებაში აღიარდება დაუყოვნებლივ, თუ აღარ მოიტანს მომავალ ეკონომიკურ სარგებელს, ან თუ ეკონომიკური სარგებელი არ აკმაყოფილებს, ან შეწყვეტა დაკმაყოფილება აქტივის აღიარების მოთხოვნისა ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებაში.

საანგარიშო პერიოდში კომპანიის მიერ გაწეული იქნა ხარჯები:

საწვავის - 276834.00ლ.

მივლინების - 464241.00ლ.

რემონტის - 37926.00ლ

დასაქმებულთა შრომის ანაზღაურების - 174500.00ლ.

დარიცხული ცვეთის - 58972.00ლ.

საბაჟოს, ავტობანების და სხვა ხარჯები - 177938.00ლ.

დაზღვევის - 19977.00ლ.

ტესტირების, ტირების, ტრანსპორტირების - 502063.00ლ.

საიჯარო ქირის - 16342.00

კომუნიკაციის ხარჯები - 7715.00 ლ.

ნებართვები - 17099.00ლ.

საბანკო ხარჯები - 7574.00ლ

ადმინისტრაციული და სხვა საოპერაციო ხარჯები - 16332.00ლ.

ამრიგად კომპანიის მიერ საანგარიშო წლის განმავლობაში გაწეულმა საერთო საწარმოო ხარჯებმა შეადგინა 1712427.00 ლ. ხოლო საერთო და ადმინისტრაციულმა ხარჯებმა - 65062.00 ლ.

სხვა წმინდა არასაოპერაციო შემოსავალი/ (ხარჯი)

კომპანიას საანგარიშო პერიოდში ქონდა სხვა წმინდა არასაოპერაციო შემოსავლები - 60922.00 ლ-ის ოდენობით, და არასაოპერაციო ხარჯები 36956.00 ლ-ის ოდენობით.


საანგარიშო პერიოდის შემოსავლებისა და გაწეული ხარჯების შეჯერებამ აჩვენა, რომ კომპანიამ საანგარიშო წელი დაამთავრა ზარალით -23999.00 ლ.

ბალანსის შედგენის თარიღის შემდგომი მოვლენები

ბალანსის შედგენის შემდგომ მნიშვნელოვანი მოვლენა არ მომხდარა.

ფინანსური ანგარიშგების დამტკიცება

წინამდებარე ფინანსური ანგარიშგება გამოსაცემად დამტკიცდა 2021 წლის 20 სექტემბერს კომპანიის ხელმძღვანელობის მიერ.

კომპანიის დირექტორი:  ლევან შერმადინი